დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

შენიშვნები და მოსაზრებები
ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში
მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის სამთავრობო კომისიის
სხდომის შედეგების შესახებ 2 ოქმზე

22.03.2016

კანდიდატებთან გასაუბრების დაწყებამდე მე განვაცხადე, რომ პირადი ურთიერთობების გამო ვერ ვიქნებოდი ობიექტური შემფასებელი კონკურსში მონაწილე ორ კანდიდატთან მიმართებაში (მაკა სტივენსონი და ნიკოლოზ ლეგაშვილი) და თავს შევიკავებდი მათი შეფასებისაგან. იქვე განვაცხადე, რომ შესაძლოა კომისიის სხვა წევრებსა და კანდიდატებს შორისაც არსებობდა ურთიერთობები, რაც მათ ობიექტურობას ჩრდილს მიაყენებდა და დავსვი საკითხი, კომისიას თავიდანვე ემსჯელა ინტერესთა კონფლიქტის საკითხთან დაკავშირებით.

ეს საკითხი ჩემი მხრიდან გასაუბრების მოგვიანებით ეტაპზეც დაისვა, მათ შორის ბატონი ალექსანდრე ბარამიძის გასაუბრების დაწყებამდე დავაყენე ინტერესთა კონფლიქტის საკითხი მასსა და კომისიის თავმჯდომარეს შორის. თუმცა ჩემი მოსაზრება კომისიის მიერ არ იქნა გაზიარებული არც ამ კონკრეტულ შემთხვევაზე და არც ინტერესთა კონფლიქტის განმსაზღვრელ ერთიან სტანდარტზე შეჯერებასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხები ოქმში არ არის ასახული.

არ ვეთანხმები ოქმში არსებულ ჩანაწერს, რომ "კომისიის წევრები შეჯერდნენ აგრეთვე, რომ შეფასებისას მხედველობაში მიიღება როგორც კანდიდატის პროფესიული ცოდნა და გამოცდილება, უნარ-ჩვევები, უცხო ენაში მისი ცოდნის დონე, ევროსაბჭოს მეორე ოფიციალური ენის ცოდნა" და სხვ. აღნიშნული კრიტერიუმები წინასწარ იყო განსაზღვრული როგორც ევროპის საბჭოს მიერ, ასევე 2015 წლის 14 დეკემბრის საქართველოს მთავრობის 623 დადგენილებით, ხოლო შეფასების ფორმა დამტკიცებული იყო დანართის სახით. შესაბამისად, ეს საკითხი არ ექვემდებარებოდა კომისიის კომპეტენციას და ვერ გახდებოდა მისი მსჯელობის და გადახედვის საგანი.

მსურს ასევე აღვნიშნო, რომ სხდომის მიმდინარეობის დროს ორ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კომისიის ერთი წევრის მხრიდან მეორის მიერ დასმულ კითხვასთან ან კითხვის ფორმასთან

კონსტიტუციის 42-ე მუხლი
მრავალეროვანი საქართველო
საქართველოს მცირე და
საშუალო საწარმოთა
ასოციაცია
სამოქალაქო ინტეგრაციის
ფონდი
საქართველოს ადვოკატები
დამოუკიდებელი
პროფესიისათვის
ბიზნესისა და ეკონომიკის
ცენტრი
ლიბერალი
კონსტიტუციური უფლებების
დაცვის ცენტრი
სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება
კავშირი "21-ე საუკუნე"
საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა ცენტრი
საერთაშორისო
გამჭვირვალობა საქართველო
დემოკრატ მესხთა კავშირი
თავისუფლების ინსტიტუტი
საქართველოს ადვოკატთა
ასოციაცია
სამოქალაქო განვითარების
სააგენტო
საქართველოს გაეროს
ასოციაცია
ევროპის იურისტ სტუდენტთ
ასოციაცია
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი
ფონდი ღია საზოგადოება
საქართველო
დემოკრატიის ინსტიტუტი
ამერიკის სავაჭრო პალატა
ევრაზიის თანამშრომლობის
ფონდი
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი
ადამიანის უფლებათა
პრიორიტეტი
თბილისის მედია კლუბი
ადამიანის უფლებების
სწავლებისა და
მონიტორინგის ცენტრი
იურიდიული განათლების
ხელშეწყობის ფონდი
სამოქალაქო ჩართულობის
ინსტიტუტი
საქართველოს იურიდიული
ფირმების ასოციაცია
საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია
საქართველოს ევროპული
არჩევანი
ლიბერალური აკადემია
თბილისი
პარტნიორობა ადამიანის
უფლებებისათვის
ადამიანის უფლებათა ქსელი

დაკავშირებით უარყოფითი პოზიციის დაფიქსირებას. პირველი ასეთი შემთხვევა მოხდა, როდესაც მე კითხვა დავუსვი კანდიდატ ევა გოცირიძეს იუსტიციის საბჭოს წევრის სტატუსით მის მიერ მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რაზეც კომისიის თავმჯდომარემ მიმითითა, რომ ანგარიში არ მომეთხოვა კანდიდატებისთვის წარსულში მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. თუმცა, ჩემთვის ხელის შეშლას გასაუბრების გაგრძელებაში ადგილი არ ჰქონია. კანდიდატთან გასაუბრების დასრულების შემდეგ აღვნიშნე, რომ მე უნდა შემეფასებინა კანდიდატების შესაბამისობა ძალიან მაღალ და საპასუხისმგებლო თანამდებობასთან, შესაბამისად, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო დამესვა კითხვები მათ შორის კანდიდატების წარსულ საქმიანობასთან მიმართებაში. აღნიშნული საკითხები ოქმში არ არის ასახული.

მეორედ ამ შემთხვევას ადგილი ჰქონდა, როდესაც უჩა ნანუაშვილმა დააფიქსირა პროტესტი კომისიის თავმჯდომარის მიმართ, კანდიდატ კონსტანტინე კორკელიასთან გასაუბრების შესახებ, მას შემდეგ, რაც კანდიდატმა დატოვა გასაუბრების ოთახი. უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, რომ მისი შეხედულებით, გარკვეულ სუბიექტურობას ჰქონდა ადგილი კომისიის თავმჯდომარის მხრიდან. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კითხვები კანდიდატების წარსულ საქმიანობასთან დაკავშირებით დაისვა სხვა კანდიდატების მიმართაც. ზაზა ხატიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კითხვები თუ არსებობს, მათ კანდიდატებმა პასუხი უნდა გასცენ. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში პრობლემა მდგომარეობდა არა კითხვის შინაარსში, არამედ კითხვების დასმის ფორმაში, თუმცა კომისიას ამ საკითხზე არ უმსჯელია. არც აღნიშნული საკითხები არის ოქმში ასახული.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმის დაფიქსირება, რომ კანდიდატმა, ვისაც კომისია ბოლოს გაესაუბრა, ლუიზა ხითარიშვილი, გამოთქვა პრეტენზია. მან განაცხადა, რომ კომისიის წევრები უკვე ძალიან გადაღლილები იყვნენ, უჭირდათ მისი მოსმენა, რაც ვერ უზრუნველყოფდა მის მიმართ თანაბარ პირობებს გასაუბრების პროცესში. აღნიშნულს დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარე და სხვა წევრებიც. მიუხედავად იმისა, რომ ყველა კანდიდატთან იმავე დღეს გასაუბრების უზრუნველყოფა კომისიის ერთსულოვანი გადაწყვეტილება იყო, ეს შემთხვევა მიუთითებს პროცესის უკეთ ორგანიზების აუცილებლობაზე და სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს სამომავლოდ. მიმაჩნია, რომ აღნიშნული საკითხიც ოქმში უნდა ასახულიყო.

დაბოლოს, მსურს აღვნიშნო, რომ ზოგადად პროცესთან, კომისიის ფორმირების წესთან და სხვა ხარვეზებთან

დაკავშირებით კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის (რომლის წარმომადგენელიც კომისიაში პირადად გახლდით), მოამზადა შეფასებები და რეკომენდაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია 2016 წლის 11 მარტს და ხელმისაწვდომია საჯაროდ, კოალიციის ვებგვერდზე შემდეგ მისამართზე **http://www.coalition.org.ge/ge/articl...**

გთხოვთ, წინამდებარე შენიშვნები და მოსაზრებები თან დაურთოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის სამთავრობო კომისიის სხდომის შედეგების შესახებ მე-2 ოქმს.

პატივისცემით,
ანა ნაცვლიშვილი